ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ119.119220762**

თარიღი:**17/03/2022**

„წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 17 მარტის #ბ119.119220761 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს ცვლილება „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 17 მარტის #ბ119.119220761 ბრძანებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ჩატარდეს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა 2022 წლის 18 მარტს, ქ. წალკა, არისტოტელეს ქ. №22-ში, 14:00 სთ-ზე შემდეგი დღის წესრიგით:

ა) განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ელ. ტენდერში (სატენდერო განცხადების #NAT220002040) გამოვლენილ გამარჯვებულ შპს „აკასთან“ ხელშეკრულების გაფორმებაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“;

ბ) განკარგულების პროექტი „გამონაკლისის დაშვების და დაჩქარებული წესით წალკის მუნიციპალიტეტის თრიალეთის ადმინისტრაციული ერთეულის დაბა თრიალეთის ხრამჰესის ქუჩისთვის ედუარდ ბრაიშის სახელის მინიჭების მიზანშეწონილების შესახებ“.“

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი